პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 154 (4664)

1972 წ. 8 აგვისტო, სამშაბათი.

ფასი 8 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მატჩი მსოფლიო პირველობაზე



## მეთერთმეტე პარტია

### სპასკი — ფიშერი

სიცილიური დაცვა

1. e4 c5 2. მf3 d6 3. d4 cd 4. მ:d4 მf6 5. მc3 a6 6. კg5 e6 7. f4 ლb6 8. ლd2 ლ:b2 9. მb3 ლa3 10. კ:f6 gf 11. კe2 h5 12. 0—0 მc6 13. მფh1 კd7 14. მb1 ლb4 15. ლe3 d5 16. ed მe7 17. c4 მf5 18. ლd3 h4 19. კg4 მd6 20. მ1d2 f5 21. a3 ლb6 22. c5 ლb5 23. ლc3 gf 24. a4 h3 25. ab hg+ 26. მფ:g2 ეh3 27. ლf6 მf5 28. c6 კc8 29. de fe 30. ეfe1 კe7 31. ე:e6. შავები დანებდნენ.

• • •

მეთერთმეტე პარტიაში გათამაშდა სიცილიური დაცვის ის მწვავე ვარიანტი, რომელმაც მეშვიდე პარტიაში დიდი კამათი გამოიწვია. მაშინ სპასკიმ სამი პაიკი შესწირა, მაგრამ უპირატესობა ვერ მოიპოვა. პირიქით, როდესაც თამაში ენდშპილში გაგრძელდა, ჩემპიონმა მხოლოდ ყაიმს მიაღწია. ამჯერად პარტია არანაკლებ მძაფრი გამოდგა.

ფიშერს უყვარს ამ ეგრეთ წოდებული „ნაიდორფის ვარიანტის" თამაში. კარგადაც აქვს დამუშავებული. მაგრამ ყველაფერს კაცი ვერ გაითვალისწინებს. სპასკიმ „შეაკეთა" ვარიანტი და ახლებურად წარმართა იერიში. ფიშერმა ალღო ვერ აუღო სიახლეს. მისი მეფე დაყოვნდა ცენტრში, ხოლო ლაზიერი — ლაზიერის ფრთაზე.

სპასკი შესანიშნავად თამაშობდა მთელს პარტიას. მან ალყა შემოარტყა ამერიკელის ლაზიერს. როცა ფიშერმა დაინახა, რომ ეს ძლიერი ფიგურა განწირულია, მიატოვა იგი და თეთრ მეფეს შეუტია. მაგრამ შემტევი ძალა საკმარისი არ იყო. სპასკიმ ადვილად მოიგერია თავდასხმა. როდესაც მისი ფიგურები ამერიკელის მეფეს შეესია, ფიშერმა ფარ-ხმალი დაყარა.

ამრიგად, მატჩის ანგარიშია 6,5:4,5 ფიშერის სასარგებლოდ.

დღეს უნდა გაიმართოს მეთორმეტე პარტია. თეთრებით ფიშერია.

როგორც ვიუწყებოდით, 28 ივლისს, შუადღისას, ოლიმპიაში — ანტიკური ოლიმპიადების სამშობლოში — XX საზაფხულო ოლიმპიური თამაშების ცეცხლი აინთო (სპარტაკიადა 26 აგვისტოს გაიხსნება მიუნხენში).

ტრადიციისამებრ, ეს საზეიმო ცერემონია ზევსის ტაძრის ნანგრევებზე მოეწყო. მსახიობმა მარია მოსკოლიუმ გამადიდებელი შუშით აანთო ოლიმპიური ჩირაღდანი და გადასცა პირველს იმ ხუთი ათასი მორბენლიდან, რომლებიც ამ ცეცხლოვან ესტაფეტას ევროპის რამდენიმე ქვეყნის გზებზე გაატარებენ.

• • •

სურათზე: ოლიმპიური ჩირაღდნის სტარტი.

აპ — სადესის ტელეფოტო.

## ომარ ფხაკაძე ისევ პირველია

ტალინი, 6 აგვისტო. ადგილობრივ ველოტრეკზე სპრინტში შეჯიბრების შემდეგ სსრ კავშირის ჩემპიონატის საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე მსოფლიოს ექს-ჩემპიონი, თბილისის დინამოელი ო. ფხაკაძე ავიდა. ერთი საფეხურით დაბლა მისი ხარკოველი თანაკლუბელი ს. კრავცოვი იდგა, ხოლო ბრინჯაოს მედალი ტულელ არმიელს ვ. კოპილოვს ხვდა.

ჩემპიონატში მოულოდნელი არაფერი მომხდარა. ერთადერთი „სიმშვიდის შემაშფოთებელი" ახალგაზრდა ტულელი არმიელი ვ. ნიკიფოროვი იყო. მაგალითად, მეოთხედფინალში ფხაკაძესთან ორი სერიის შემდეგ მისი შეხვედრის ანგარიში იყო 1:1. მესამე, გადამწყვეტ სერიაში გამარჯვებულის გამოსავლენად საჭირო გახდა ფოტოფინიში, რომელმაც მედლებისკენ გზა თბილისელს „გაუხსნა".

სამშაბათს გათამაშდება მედლები ტანდემებით რბოლაში.



სურათზე: ო. ფხაკაძე.

მ. ზარგარიანის ფოტო.

## რეკორდი გადარჩა

ერთი „ხუთიანი", სამი „ოთხიანი" და სამი „სამიანი" — ასე იყო შეფასებული „სპორტლოტოს" მე-20 ტირაჟში დიმიტროვის სახელობის ქარხნის ამწყობი ზეინკლის ა. ნოზაძის თამაში. მთლიანმა თანხამ 3072 მანეთი შეადგინა.

—მეოცე გათამაშებაში 22 ბილეთი შევიძინე და რამდენიმეზე ერთნაირად გადავხაზე ოთხი ციფრი: 10, 12, 19 და 22. 10 რიცხვი ჩემი მეუღლის დაბადების თარიღია, 12 — ჩემი ვაჟისა, 19 — ქალიშვილისა, ხოლო 22-ში მე დავიბადე.

ავთანდილ ნოზაძეს ცოტა დააკლდა „თბილგაზის" სამმართველოს ინჟინერ ზ. შენგელიას რეკორდის მოხსნამდე (შენგელიამ 3120 მანეთი მოიგო.

ასევე ხუთი ციფრი „გამოიცნო" კიროვის სახელობის ჩარხსაშენი ქარხნის ამწყობმა ზეინკალმა თ. ფუხაევმა. ბედნიერი ციფრები მამას პატარა მეგიმ უკარნახა.

„სპორტლოტოს" საქართველოს ზონალურ სამმართველოში უკვე დაჯამდა შედეგები 21-ე ტირაჟისა, რომელიც ვოლგოგრადში ჩატარდა. ჩვენი რესპუბლიკის ოთხმა მცხოვრებმა ხუთი ნომერი „გამოიცნო" და თითოეული მათგანი 3040 მანეთს მიიღებს. 208 კაცმა მოიგო 56-56 მანეთი, 4272-მა — 3-3.

როგორც ცნობილია, „სპორტლოტოს" ერთთვიანი ბილეთები თვეში სამჯერ თამაშდება. საქართველოს ზონალურ სამმართველოში უკვე შემოვიდა რამდენიმე ბილეთი, რომლებზეც ორ-ორჯერაა სწორად გადახაზული ოთხი და სამი ციფრი.

მორიგი, 22-ე ტირაჟი 10 აგვისტოს შედგება გროზნოში.

ი. ლოპატკინი,
„სპორტლოტოს" საქართველოს ზონალური სამმართველოს ინსტრუქტორი.

● მილანი, 5 აგვისტო. ხელოვნური ტბა იდროსკალოზე დამთავრდა იუნიორთა მსოფლიო ჩემპიონატი აკადემიურ ნიჩბოსნობაში. დიდ წარმატებას მიაღწია უკრაინის „ვოდნიკის" წარმომადგენელმა ნ. დოვგანმა, რომელმაც ყველაზე სწრაფად დაფარა 1500-მეტრიანი ტრასა. კიეველი ჭაბუკის შედეგია 5.34,24. II ადგილზე გასული უ. ზინგელის (გფრ) ნავი გამარჯვებულს მთელი კორპუსით ჩამორჩა. სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური საწყლოსნო სპორტკლუბის მესაჭიანმა ოთხადგილიანმა (მწვრთნელი ვ. ბაკინი) ვერცხლის მედალი მოიგო — 4.58,29. ამ სახეობაში საუკეთესო იყო ჩეხოსლოვაკიის ეკიპაჟი — 4.57,0. ბრინჯაოს მედლები სამმა საბჭოთა გუნდმა მოიგო: სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური საწყლოსნო სპორტკლუბის რვაადგილიანმა (მწვრთნელი ა. კუნიცინი) — 4.34,46, მაგნიტოგორსკის „ტრუდის" უმესაჭო ორადგილიანმა — 5.25,35 და მოსკოვის „ტრუდის" წყვილმოსასმელიანმა ორადგილიანმა — 5.14,53. ყველა ამ კლასში გაიმარჯვეს გდრ-ის იუნიორებმა, რომელთა შედეგები შესაბამისად ასეთია: 4.25,33, 5.19,00 და 5.07,60. საბჭოთა ნავები — უმესაჭო ოთხადგილიანი და მესაჭიანი ორადგილიანი — კიდევ ორ ფინალურ სერიაში მონაწილეობდნენ, მაგრამ ფინიშთან მხოლოდ მეხუთენი იყვნენ: შესაბამისად — 5.04,80 და 5.54,77. ამ სახეობებში გაიმარჯვეს გფრ-ისა (4.58,31) და ჰოლანდიის (5.43,94) იუნიორებმა.

● ჰელსინკი, 6 აგვისტო. ბელგიელი მოტოკროსმენი ჟ. რობერი „250-ანების" კლასში მსოფლიო ჩემპიონატის 9 ეტაპის შემდეგ ლიდერობას ინარჩუნებს. მას 102 ქულა აქვს. კიეველი ა. კიბირინი I ადგილზეა (41 ქულა). X ეტაპი 13 აგვისტოს გაიმართება შვეციაში.

● ალმა-ათა, 6 აგვისტო. ადგილობრივმა დინამოელებმა პირველად მოიხვეჭეს ბალახის ჰოკეიში სსრ კავშირის ჩემპიონთა წოდება, 14 ქულა დააგროვეს. III საკავშირო ჩემპიონატის ფინალური თამაშების ბოლო ტურში მათ ულიანოვსკის „ვოლგას" სძლიეს — 2:1. ოქრო ალმაათელებს მატჩის სწრაფმა „დებიუტმა" მოუტანა, როცა ლობაჩოვმა ანგარიში გახსნა, მერე კი იონკინმა 7-მეტრიანი საჯარიმო დარტყმით მეორე ბურთი გაიტანა. ტონიევმა მხოლოდ ანგარიშში სხვაობის შემცირება შეძლო. ვერცხლის ჯილდოები „ვოლგის" ჰოკეისტებს ხვდათ — 12 ქულა. პერვოურალსკის „ურალსკი ტრუბნიკმა" ხაბაროვსკის ასკ-ს მოუგო (1:0) და 9 ქულით ბრინჯაო მოიპოვა. ტურნირის საუკეთესო ბომბარდირია ქვეყნის ნაკრების წევრი იონკინი — 8 ბურთი.

## ფინალში: „სტროიტელი" და ცსკა

კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო თასის გათამაშების ფინალში გავიდნენ კიევის „სტროიტელი" და ცსკა. ეს ცნობილი გახდა 5 აგვისტოს მეორე ნახევარფინალური მატჩების დამთავრების შემდეგ. უკრაინელმა კალათბურთელებმა ხელმეორედ დაამარცხეს კაუნასის „ჟალგირისი", ამჯერად მისსავე მოედანზე — 67:63 (28:23). სსრ კავშირის ჩემპიონმა — ცსკა-მ კი ტარტუში დამაჯერებლად მოუგო „კალევს" — 97:84 (50:44).

ფინალური მატჩები გაიმართება 9 და 12 აგვისტოს.

კალათბურთი

## ცხრილში ცვლილებაა

ორიოლი, 7 აგვისტო. მეორე ვარჯიშმა ცვლილება შეიტანა პლანერისტთა საკავშირო ჩემპიონატის სატურნირო ცხრილში. მიზანზე დაბრუნებით ფრენაში, რომლის ტრასაც 204 კმ იყო, ყველას აჯობა ლ. პარხომცევმა (სამოქალაქო ავიაციის სამინისტრო). II და III ადგილებზე არიან ლ. პილიპჩუკი (მოლდავეთი) და ი. ამოჩკინი (უკრაინა). ქალთა ჩათვლაში უძლიერესი აღმოჩნდა კიშინიოველი ლ. კლიუევა. ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები დაისაკუთრეს საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა თ. ზაგაინოვამ (ორიოლი) და ე. გოლუბკომ (უკრაინა).

ქულათა ჯამით ლიდერობენ ესტონეთისა და ცენტრალური სპორტული საპლანერო კლუბის კოლექტივები. პირად ჩათვლაში დაწინაურდნენ ესტონელი ი. ლინკი (1727 ქულა) და ზაგაინოვა (1815).

# დიდი ფეხბურთი, დიდი საზრუნავი

ზ. სიხარულიძე,
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე.

ქვეყნის ნაკრების დაკომპლექტების მოწესრიგებისთვის მიზანშეწონილია სსრ კავშირის ფეხბურთის სამმართველოსთან ჩამოყალიბდეს სელექციონერ მწვრთნელთა ჯგუფი. სწორედ ამ მწვრთნელებს უნდა დავავალოთ ნაკრების კანდიდატთა შერჩევა, აგრეთვე, ქვეყნის ნაკრების წევრთა თამაშის დონის სისტემატური კონტროლი, რათა ნაკრების მატჩებზე მხოლოდ შესაფერის ფორმაში მყოფ ფეხბურთელებს იწვევდნენ. სელექციონერთა ჯგუფში უნდა შევიდეს ექიმი-სპეციალისტი, რომელიც ფეხბურთელთა ფუნქციონალურ შესაძლებლობებს შეაფასებს.

როგორც ცნობილია, დღეს მსოფლიოს უძლიერესი სპორტსმენები სისტემატურად მიმართავენ საკონტროლო ვარჯიშებსა და ტესტებს. უამისოდ პრაქტიკულად შეუძლებელია ინდივიდუალური წვრთნის სწორად წარმართვა. ჩვენ უკვე გვაქვს აღნიშნული, რა წარმატებით იყენებენ ამ ხერხს ბრაზილიელები. ისინი ყოველთვიურად მიმართავენ ტესტებს და შედეგებს აქვეყნებენ. ჩვენთვისაც, რა თქმა უნდა, აუცილებელია საკონტროლო ვარჯიშებისა და ტესტების არა ეპიზოდური, არამედ სისტემატური გამოყენება თვეში ერთხელ მაინც. შედეგები შეიძლება გამოქვეყნდეს ყოველკვირეულ „ფუტბოლ-ხოკეიში". ეს ერთგვარად ხელს შეუწყობს როგორც მწვრთნელთა, ისე ფეხბურთელთა მობილიზებას. თანამედროვეობის პრობლემებს არა მარტო უნდა აჰყვე, არამედ გაუსწრო კიდეც. სიზანტე მთელი რიგი მნიშვნელოვანი საკითხების გადაჭრაში ძალიან ძვირად გვიჯდება და, პირველ ყოვლისა, საბჭოთა სპორტის პრესტიჟს აყენებს ჩრდილს.

გვინდა მკითხველის ყურადღება მივაქციოთ იმ გარემოებას, რომ ჩვენს წერილებში ბევრჯერ ყოფილა გამოთქმული მოსაზრებები ფეხბურთის შემდგომი განვითარების შესაძლებელ გზებზე. ცხოვრებამ დაადასტურა ფაქტების ანალიზზე დაფუძნებულ ამ შეხედულებათა სისწორე, თუმცა გამოქვეყნების პერიოდისთვის ისინი საკმაოდ განსხვავდებოდნენ საერთო აზრისგან.

1966 წელს, ინგლისის მსოფლიო ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ, სპეციალისტთა უმრავლესობა ამტკიცებდა, ლათინური ამერიკის სკოლის მზე ჩაესვენაო. ჩვენი დასკვნები უფრო წინდახედული იყო: „საჭიროა რაციონალურად შევუხამოთ ერთმანეთს ტემპიანი თამაში და ტემპის დაგდების, ბურთის შენარჩუნების უნარი. საერთო ჯამში მომავალი ცვალებადი ტემპით თამაშს ეკუთვნის" („ფუტბოლი", 1966 წ. № 45).

ინგლისელთა წარმატებას ჩვენ იმას ვადარებთ, როცა დისერტანტი ყველა წესის დაცვით იცავს დისერტაციას და ხარისხსაც იღებს, მაგრამ მისი ნაშრომი ბიბლიოთეკის თაროზე რჩება და ცხოვრებაში გზას ვერ პოულობს.

იქვე აღვნიშნავდით, რომ საკმარისია ბრაზილიელებმა სულ ცოტა რამ გადაიღონ უძლიერესი ევროპული გუნდების თამაშიდან (კერძოდ, ათლეტიზმი, გრძელი გადაცემები), რომ კვლავ უმაღლესი ტიტულის ძირითადი პრეტენდენტები იქნებიან. ასეც აღმოჩნდა სინამდვილეში.

მექსიკა. 1970 წელი. ლათინური ამერიკის სკოლას დითირამბებს უძღვნიან. ჩვენი შეხედულება ისევ არ ემთხვევა საერთო აზრს: „თითქოს სავალდებულო ხდება ლათინური ამერიკის სკოლის უპირატესობის აღიარება. ესე იგი, თამაშის ამ მანერაზე უნდა გადავიდეთ. მოდით, ნურც ახლა ვიჩქარებთ" („ფუტბოლ-ხოკეი", 1970 წ. № 31). და შემდეგ: „ჩვენ კვლავ გვჯერა გამუდმებულ სისწრაფეზე, ფართო მანევრებზე, ელვისებურ კონტრიერიშზე, დიდ შრომისუნარიანობაზე დამყარებული თამაშის უპირატესობა. ლათინური ამერიკის სკოლისგან, ეჭვი არ არის, უნდა გადმოვიღოთ მაღალი ტექნიკა, თამაშის ფანტაზია, ტაქტიკური ჩანაფიქრის როლი და შემოქმედებითი განხორციელება... ბრაზილიელებმა შეითვისეს ყველაფერი, რაც საუკეთესოა მსოფლიო ფეხბურთში და, ამასთან, ხელწერა არ დაუკარგავთ. ბრაზილიელებისგან პირველ ყოვლისა მათი სწავლის და ყოველივე პროგრესულის ათვისების უნარი უნდა გადმოვიღოთ".

განსაკუთრებით აღვნიშნავდით ცვალებად ტემპში თამაშის, ტემპის მომატების უნარს, ბურთის სწრაფად გადატანას ერთი ფლანგიდან მეორეზე... ყოველივე ეს გვიჩვენეს გფრ-ის ფეხბურთელებმა საბჭოთა გუნდთან ფინალურ მატჩში. მათ შეძლეს საკუთარი ხელწერის შენარჩუნება და ამავე დროს ყველაფერი საუკეთესო გადმოიღეს ლათინური ამერიკის სკოლისგან, პირველ ყოვლისა, ბრაზილიელებისგან.

ჩვენი მწვრთნელები ხშირად გატაცებული არიან მინდორზე მოთამაშეთა განლაგების სხვადასხვა სქემით: 4 — 2 — 4; 5 — 3 — 2; 4 — 2 — 2 და ა. შ. ამასთან, ზოგიერთ სქემას დაცვითი თამაშის სიჭარბეს უწუნებენ, ზოგში კი, პირიქით, შემტევი ფეხბურთის იდეის განხორციელებას ხედავენ. მაგრამ განა მთავარი სქემაა? პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ისეთი სქემის დროსაც კი, როგორიცაა 5 — 3 — 2, შეიძლება ლამაზი, შემტევი სტილით თამაში. ეს დაამტკიცეს ბრაზილიელებმა. ზოგიერთ მატჩში მათ წინა ხაზზე ფაქტიურად მხოლოდ ჟაირზინიო და ტოსტაო ჰყავდათ, პელე კი მეორე ხაზზე თამაშობდა. მაგრამ, როცა ბრაზილიელები უტევდნენ, გარემარბებიც წინ მიდიოდნენ და ნახევარმცველებიც. ამგვარად, იერიშში დიდი ძალები იყო ჩაბმული. ოღონდ ერთია: ამ ძალებს მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში იყენებდნენ და რაციონალურადაც.

დღეს, ისევე როგორც მუდამ, ნახევარდაცვის ხაზის თამაშზე ბევრი რამაა დამოკიდებული. სამწუხაროდ, ამჟამად ეს ხაზი საბჭოთა ფეხბურთში ერთ-ერთი ყველაზე სუსტია. ეს ეხება ქვეყნის ნაკრებსაც და ბევრ კლუბსაც.

სწორედ ნახევარმცველის შრომისმოყვარეობაზეა დამოკიდებული გუნდის უნარი გაძლიერებული ძალებით აწარმოოს იერიში თუ დაცვა, საამისოდ კი საჭიროა საუკეთესო ათლეტური მომზადება, რასაც საძირკველი მოსამზადებელ პერიოდში უნდა ჩაეყაროს. მაგრამ თუ მთელი მოსამზადებელი პერიოდი გუნდმა მოგზაურობაში გაატარა და სეზონის მანძილზე ნორმალური წვრთნის საშუალება არ ექნა, შრომისუნარიანობის სასურველ დონეს ფეხბურთელები ვერ მიაღწევენ. რაღა შემტევ ფეხბურთზე შეიძლება ლაპარაკი?

დასასრულ აღვნიშნავთ, რომ გარდაქმნა ერთბაშად უნდა დაიწყოს „მთელს ფრონტზე", მათ შორის, ბავშვთა და ჭაბუკთა გუნდებშიც. ჩვენი ნაკლოვანებები სწორედ იქიდან იღებს სათავეს. ამას მოწმობს საბჭოთა ჭაბუკთა გუნდის წარუმატებელი გამოსვლა ესპანეთში, უეფა-ს ტურნირის ფინალში. აუცილებელია მივაღწიოთ ბავშვთა და მოზარდთა საფეხბურთო სპორტული სკოლების სამუშაო პროგრამის გაფართოებას. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია განუწყვეტელი, სრულწლიური მუშაობა საზაფხულო გამაჯანსაღებელ ბანაკებში.

დაბოლოს, კვლავ ვხვდებით სუსტი მსაჯობის მაგალითებს. მსაჯთა საკავშირო კოლეგიამ მეტი მომთხოვნელობა უნდა გამოიჩინოს, უფრო ხშირად უნდა განიხილოს და იმსჯელოს მატჩებზე. ეს ხელს შეუწყობს მსაჯების კვალიფიკაციის ამაღლებას. მიზანშეწონილია ცალკეულ საპასუხისმგებლო თამაშებზე მსაჯების მოწვევა სოციალისტური ქვეყნებიდან. გამოცდილების ასეთი ურთიერთგაზიარება დიდ სარგებლობას მოგვიტანს.

სრულიად გაუგებარია, რატომ უარყოფს მსაჯთა საკავშირო კოლეგია ჩვენს წინადადებას, რომელსაც მრავალი წელია ვიმეორებთ: მატჩებზე მსაჯების კენჭისყრით დანიშვნას. ასეთ შემთხვევაში ერთი და იგივე მსაჯები ზედმეტად ხშირად აღარ დაინიშნებოდნენ გარკვეული გუნდის მატჩებზე. რატომ ექცევიან ამ მნიშვნელოვან საკითხს ასე თვითნებურად და უპასუხისმგებლოდ?

დასასრული. „იხ. „ლელო" № 153.

## სსრ კავშირის ჩემპიონატი ცურვაში

# უკეთესის იმედით

ბათუმის დინამოელ ვ. კრასკოს 200 მეტრზე გულაღმა ცურვაში ნახევარფინალურმა შეჯიბრებამ ახალი აღიარება მოუპოვა. იგი სტარტიდანვე უშეღავათო ბრძოლაში დაწინაურდა. უკვე 50 მეტრის შემდეგ მეტოქეთ ნახევარი კორპუსით უსწრებდა, ნახევარი დისტანციის მერე კი მთელი ტანით. სსრ კავშირის რეკორდსმენი, ვოლგოგრადელი ლ. დობროსკოკინი ბევრს ეცადა ლიდერს წამოსწეოდა, მაგრამ გვიანღა იყო. კრასკომ საუკეთესო შედეგი (2.13,5) აჩვენა და 0,3 წამით გააუმჯობესა თავისივე რესპუბლიკური რეკორდი. დობროსკოკინმა 0,6 წამი წააგო, III ადგილზე გასულმა კაუნასელმა ვ. ტიკნიუსმა — 3,2 წამი.

ყველაზე საინტერესო მაინც საჩემპიონო გაცურვები იყო. ვაჟები 400, ხოლო ქალები 800 მეტრზე თავისუფალი სტილით შეჯიბრებაში ცდილობდნენ უმაღლესი ჯილდოების მოპოვებას.

ყველაზე ძნელი და საპატიო ამოცანა ა. სამსონოვს (მოსკოვის ოლქი, „ტრუდი") უნდა გადაეწყვიტა: სხვებთან შედარებით მის პასუხისმგებლობას ისიც ზრდიდა, რომ შარშან მოპოვებული ჩემპიონის ტიტულის შენარჩუნებაც ევალებოდა. მას ეს ტიტული შეიძის მაგიერ ექვს მეტოქესთან ბრძოლაში უნდა დაეცვა: საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, თბილისელი ი. ლისეცკი („დინამო") სტარტზე არ გამოვიდა. თქვეს: სახვალიოდ მარათონისთვის ძალას ინახავსო.

ძირითადი მეტოქენი ღიდხანს მხარდამხარ მიცურავდნენ. მოსკოველმა ვ. ბურემ („ლოკომოტივი"), რომელსაც მამამისი ვალერი ავარჯიშებს, ასეთი „ნელი" ტემპი ვერ აიტანა და... დაწინაურდა. სამსონოვმაც მაქსიმალური სიჩქარე განავითარა, რიგელმა ვ. პერედისტიმაც („დაუგავა"), მაგრამ ბურეს ვერავინ დაეწია. ამ სპორტსმენმა ორმაგი სიხარული განიცადა: ჩემპიონობა და საკავშირო რეკორდი — 4.07,3, რაც სამსონოვის ძველ მიღწევაზე 2,6 წამით უკეთესია. სამსონოვს შარშან ნაჩვენებ საჩემპიონო დროზე მხოლოდ 0,1 წამით უარესი შედეგი ჰქონდა და ვერცხლის მედალს დასჯერდა. პერედისტის ბრინჯაო ხვდა — 4.15,7.

— ხვალ 1500 მეტრზე გამოსვლასაც ვაპირებ, ამიტომაც დღეს ძალ-ღონის დაზოგვა მსურდა. მაგრამ, როგორც ჩანს, შევცდი. ვაითუ ეს შეცდომა ხვალ უფრო ვინანო: იქაც ვერაფერი გავაკეთო, — თქვა სამსონოვმა ფინიშის შემდეგ.

ვერც ქალთა შორის 800 მეტრზე მოასპარეზეებმა აჩვენეს მჭიდრო შედეგები. ნ. სუხოვცევას (მოსკოვი, „სპარტაკი") სათანადო მეტოქეობა ვერავინ გაუწია, თუმცა ბრწყინვალე შედეგით თავი ვერც მან გამოიჩინა. თბილისის „ლოკომოტივის" აუზში სუხოვცევას დრო (9.47,5), რამაც სპორტსმენს ოქროს მედალი მოუპოვა, შარშან ამავე დისტანციაზე გამარჯვებულ ო. პეტრუსევას (იგი თბილისში ამ დისტანციაზე არ გამოდიოდა) შედეგზე 1,6 წამით უარესია. II ადგილზეა ვ. ბირიუკინა (სმოლენსკი, „ტრუდი") — 10.04,5, III — ე. აბრამოვა (მოსკოვი, „სპარტაკი") — 10.08,5.

43-ე საკავშირო ჩემპიონატის თბილისის ეტაპის ბოლო დღეს კიდევ ოთხი ნახევარფინალური და ორი ფინალური გაცურვა მოეწყო. სსრ კავშირის რეკორდიც სწორედ ერთ-ერთ ფინალურ ასპარეზობაში დამყარდა — 1500 მეტრზე შეჯიბრებისას. სტარტიდანვე წინ გავიდა ვ. შატილოვი (ხარკოვი, „დინამო"), რასაც სპეციალისტები არ აუღელვებია: შატილოვი ფავორიტად არავის მიაჩნდა. ყველას ყურადღება საბჭოთა კავშირის რეკორდსმენ (16.45,2) ი. ლისეცკის, ქვეყნის ჩემპიონის (17.01,1), მოსკოველი ა. დუნაევის, სამსონოვისა და ყველაზე ახალგაზრდა მონაწილის, ვოლჟსკელი ბ. სანდაკოვისკენ იყო მიპყრობილი.

ჩვენი აზრით, ლისეცკი შეცდა პირველი მოსაბრუნის შემდეგ, მეტოქეებს მაღალი ტემპი რომ შესთავაზა. ალბათ ფიქრობდა საგრძნობი უპირატესობა დროით მოეპოვებინა, რომ რეკორდიც გაეუმჯობესებინა და პირველობაც დაესაკუთრებინა. როგორც გამოირკვა, ეს უზუსტოდ გადადგმული ნაბიჯი გამოდგა. წინადღით ბურესთან წაგებით დაშინებულმა სამსონოვმა გამოწვევა მიიღო და ლისეცკის (ბილიკებიც გვერდიგვერდ ერგოთ) ოდნავაც არ ჩამორჩა.

ლისეცკის მომზადებაში (სამსონოვი და თბილისელი ქვეყნის ნაკრებში ერთად ვარჯიშობენ) ტექნიკურმა ნაკლმაც იჩინა თავი. სპორტსმენი ზუსტად და სხარტად ვერ ბრუნდებოდა, რის გამოც ყოველი მობრუნებისას მეტოქეს თუმცა უმნიშვნელოდ, მაგრამ მაინც ჩამორჩებოდა, რამაც საბოლოოდ ფინიშისთვის 16 წამის მანძილი შეადგინა.

სამსონოვმა, რომელსაც რსფსრ-ს დამსახურებული მწვრთნელი პ. იოსელიანი ავარჯიშებს, საკავშირო რეკორდით (16.31,3) გაიმარჯვა. 17 წუთის ზღვარიდან გამოვიდა ლისეცკიც (16.47,3), რომელსაც ვერცხლის მედალი ხვდა წილად. III ადგილზეა სანდაკოვი — 17.09,5. ეს ჭაბუკი მოცურავის დიდი წარმატებაა.

ქალთა შორის 400 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში ჩემპიონი გახდა ტ. ზოლოტნიცკაია (ნოვოსიბირსკი, „დინამო") — 4.40,6. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ ე. ტიმოშენკო (მოსკოვი, „ტრუდი") — 4.43,4 და ნ. სუხოვცევა — 4.44,5.

ამით დამთავრდა XX ოლიმპიადისთვის საბჭოთა მოცურავეების მზადების ბოლო ეტაპის პირველი ნახევარი. მეორე ნახევრის შეჯიბრებები 13-15 აგვისტოს მოსკოვში გაიმართება. სავარაუდოა, რომ მოსკოვის ფინალებში კიდევ რამდენიმე საკავშირო რეკორდი დამყარდეს. ამას გვაფიქრებინებს არსებულ რეკორდებთან თბილისის ნახევარფინალებში გამარჯვებულთა მიახლოვებული შედეგები. როგორც ცნობილია, თ. ლეკვეიშვილმა (თბილისი, „დინამო") საკავშირო რეკორდი უკვე ნახევარფინალში გააუმჯობესა, ვეტერანმა გ. სტეპანოვამ (მოსკოვი, შეიარაღებული ძალები) იოლად მოიგო 100 და 200 მეტრზე ბრასით ცურვა. მას შეუძლია ჩემპიონობაც შეინარჩუნოს და საკუთარი რეკორდებიც გადაახალისოს. ვფიქრობთ, ამ მხრივ ვალში არც მსოფლიო რეკორდსმენი ნ. პანკინი (მოსკოვი, „ლოკომოტივი"), ტიმოშენკო, ვ. ბურე (რომელსაც 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში თბილისში რეკორდამდე 0,1 წამი არ ეყო), ასტრახანელი ვ. სუხარევი დარჩებიან.

ასეთი პროგნოზის საბუთს თბილისური შედეგების გარდა გვაძლევს ნაკრების მწვრთნელთა განცხადებაც, რომ ოლიმპიელები საუკეთესო სპორტულ ფორმაში ახლა შედიან. ვნახოთ, მოსკოვის სტარტებამდე ხომ კვირაც არ რჩება.

ო. გელაშვილი.


ნ. სუხოვცევა.


ა. სამსონოვი.


ვ. ბურე.


ტ. ზოლოტნიცკაია.

ავტორის ფოტოები.

# იმედს არ კარგავს

შუბის ტყორცნაში ოლიმპიური ოქროს მედლის ერთ-ერთი კანდიდატის სახელი ორი წელია დაიმკვიდრა პოლონელმა ტექნიკოსმა ევა გრიზეცკამ. იგი ტანად 171 სმ-ია და 68 კგ-ს იწონის.

24 წლის გრიზეცკამ შუბის ტყორცნაში ბედი 1963 წელს სცადა და სეზონი 37,85 მეტრით დაამთავრა. 15 წლის გოგონასთვის ეს საკმაოდ მაღალი შედეგი იყო, ამიტომაც სპეციალისტების რჩევით ევამ წვრთნა უფრო ინტენსიურად გააგრძელა და ერთ წელიწადში პირადი რეკორდი 43,42 მეტრამდე აიყვანა.



შემდეგში სპორტსმენი მაჩვენებლებს ყოველწლიურად საშუალოდ 3 მეტრს უმატებდა და 1967 წელს 52,48 მეტრს მიაღწია. მაგრამ მეხიკოს ოლიმპიადისთვის მზადების პერიოდი მისთვის უიღბლო გამოდგა. 1968 წელს გრიზეცკას საუკეთესო შედეგი მხოლოდ 50,14 მ იყო. ამ შედეგს მან ვერც 1969 წელს გადააჭარბა. თურმე გრიზეცკა შუბის ტყორცნის ახალი ყაიდის დაუფლებით იყო გატაცებული და შედეგის ზრდა ამიტომაც შეჩერდა. მერე კი — 1970 წელს გრიზეცკამ 59,48 მ აჩვენა, 1971 წელს — 62,10, წლეულს — 62,70.

— მიუნხენში ჩემი მთავარი მეტოქე იქნება ფუქსი (გდრ), რომელმაც ამას წინათ პოტსდამში ფენომენალური შედეგი (65,06 მ) აჩვენა, მაგრამ იმედს არ ვკარგავ და მხოლოდ ოქროს მედლისთვის ვიბრძოლებ, — უთხრა ევამ ბულგარული გაზეთის „ნაროდენ სპორტის" კორესპონდენტს.

• • •

სურათზე: ე. გრიზეცკა.

# ოლიმპიური რეკორდები

## ცურვა

| სახეობა | შედეგი | რეკორდსმენი | დამყარების ადგ. | წ. |
|---|---|---|---|---|
| **ვაჟები** | | | | |
| თავისუფალი სტილი | | | | |
| 100 მ | 52,2 | მ. უენდენი (ავსტრალია) | მეხიკო | 1968 |
| 200 მ | 1.55,2 | მ. უენდენი (ავსტრალია) | მეხიკო | 1968 |
| 400 მ | 4.09,0 | მ. ბარტონი (აშშ) | მეხიკო | 1968 |
| 1500 მ | 16.38,9 | მ. ბარტონი (აშშ) | მეხიკო | 1968 |
| ესტაფეტა 4×100 | 3.31,7 | აშშ (ზ. ზორნი, ს. რერიჰი, მ. სპიტცი, კ. უოლში) | მეხიკო | 1968 |
| 4×200 მ | 7.52,1 | აშშ (დ. შოლანდერი, მ. ოსტინი, ს. ილმენი, ს. კლარკი) | ტოკიო | 1964 |
| ბრასი | | | | |
| 100 მ | 1.07,7 | დ. მეკენზი (აშშ) | მეხიკო | 1968 |
| 200 მ | 2.27,8 | ი. ო'ბრაიენი (ავსტრალია) | ტოკიო | 1964 |
| ბატერფლაი | | | | |
| 100 მ | 55,9 | დ. რასელი (აშშ) | მეხიკო | 1968 |
| 200 მ | 2.06,6 | კ. ბერი (ავსტრალია) | ტოკიო | 1964 |
| გულაღმა | | | | |
| 100 მ | 58,7 | რ. მათესი (გდრ) | მეხიკო | 1968 |
| 200 მ | 2.09,6 | რ. მათესი (გდრ) | მეხიკო | 1968 |
| კომპლექსური | | | | |
| 200 მ | 2.12,0 | ჩ. ჰიკოკსი (აშშ) | მეხიკო | 1968 |
| 400 მ | 4.45,4 | რ. როტი (აშშ) | ტოკიო | 1964 |
| კომბინირებული ესტაფეტა | | | | |
| 4×100 მ | 3.54,9 | აშშ (ჩ. ჰიკოკსი, დ. მეკენზი, დ. რასელი, კ. უოლში) | მეხიკო | 1968 |
| **ქალები** | | | | |
| თავისუფალი სტილი | | | | |
| 100 მ | 59,5 | დ. ფრეზერი (ავსტრალია) | ტოკიო | 1964 |
| 200 მ | 2.10,5 | დ. მაიერი (აშშ) | მეხიკო | 1968 |
| 400 მ | 4.31,8 | დ. მაიერი (აშშ) | მეხიკო | 1968 |
| 800 მ | 9.24,0 | დ. მაიერი (აშშ) | მეხიკო | 1968 |
| ესტაფეტა 4×100 მ | 4.02,5 | აშშ (ჯ. ბარკმენი, ლ. გუსტავსონი, ს. პედერსენი, ჯ. ჰენი) | მეხიკო | 1968 |
| ბრასი | | | | |
| 100 მ | 1.15,8 | დ. ბიედოვა (იუგოსლავია) | მეხიკო | 1968 |
| 200 მ | 2.44,4 | შ. უიჩმენი (აშშ) | მეხიკო | 1968 |
| ბატერფლაი | | | | |
| 100 მ | 1.04,7 | შ. სტაუდერი (აშშ) | ტოკიო | 1964 |
| 200 მ | 2.24,7 | ა. კოკი (ჰოლანდია) | მეხიკო | 1968 |
| გულაღმა | | | | |
| 100 მ | 1.06,2 | კ. ჰოლი (აშშ) | მეხიკო | 1968 |
| 200 მ | 2.24,8 | ს. უოთსონი (აშშ) | მეხიკო | 1968 |
| კომპლექსური | | | | |
| 200 მ | 2.24,7 | კ. კოლბი (აშშ) | მეხიკო | 1968 |
| 400 მ | 5.08,5 | კ. კოლბი (აშშ) | მეხიკო | 1968 |
| კომბინირებული ესტაფეტა | | | | |
| 4×100 მ | 4.28,3 | აშშ (კ. ჰოლი, ე. დანიელი, კ. ბოლი, ს. პედერსენი) | მეხიკო | 1968 |

# სადარბაზო შესასვლელი და სინამდვილე

შეერთებულმა შტატებმა საკმაოდ იოლად, ფაქტიურად, უბრძოლველად მიიღო შემდეგი ოლიმპიადის ჩატარების უფლება. ეს იმიტაც იყო გამოწვეული, რომ მოახლოებულმა ეკონომიურმა კრიზისმა კაპიტალისტური სამყარო არნახულ სიძნელეთა წინაშე დააყენა და თამაშების ბევრ პოტენციურ მასპინძელს ხელი აალებინა განზრახვაზე. პრეზიდენტი გუვერი გუმანით გრძნობდა ორი გზის არსებობას: ამერიკას ან საერთოდ უარი უნდა ეთქვა ოლიმპიადაზე და ამით აშკარად შეერყია კაპიტალისტური სამყაროს მედროშის ავტორიტეტი, ან ჩაშლის პირამდე მიეყვანა თამაშები. ერთიცა და მეორეც შტატების „კეთილ" სახელს გამოუსწორებელი ზიანით ემუქრებოდა. ეს რომ არ მომხდარიყო და ზღაპარს ამერიკის არნახულ აყვავებაზე რაღაც რეალური საფუძველი ჰქონოდა, პრეზიდენტმა მესამე, ყველაზე გონივრული გზა აირჩია.

ოლიმპიადისთვის სამზადისი თავიდანვე ქრონული ღირსების საქმედ გამოცხადდა. ლოს-ანჯელესის მუნიციპალიტეტმა სპორტულ ნაგებობათა მშენებლობისთვის მილიონი დოლარი გამოყო. დიდძალი თანხა გაიღეს კალიფორნიის შტატის მმართველობამ და სხვა ფედერალურმა დაწესებულებებმაც. ოლიმპიური სამზადისის მასშტაბმა, რაც მეტწილად რიგითი ამერიკელების კისერზე გადავიდა, კარგი ნაყოფი გამოიღო. სარეკორდოდ მოკლე დროში დამთავრდა „კოლიზეის" სტადიონის რეკონსტრუქცია. ბევრი ტექნიკური სიახლე შეიტანეს სხვა ბაზების მშენებლობაშიც. სპორტსმენთა დასაბინავებლად ამერიკელებმა ეგრეთ წოდებული ოლიმპიური სოფელი გამოიყენეს. საგანგებოდ ამ მიზნისთვის შერჩეულ ტერიტორიაზე აშენდა 700 კომფორტული ბინა, სადაც სხვადასხვა ფერის ადამიანებს თანაბარ პირობებში ცხოვრების შესაძლებლობა მიეცათ.

ლოს-ანჯელესის ოლიმპიადის სადარბაზო შესასვლელი მართლაც ია-ვარდით იყო მოფენილი, მაგრამ მხოლოდ სადარბაზო შესასვლელი. სინამდვილეში, კუბერტენის მაღალი იდეალები ადამიანთა თანასწორუფლებიანობაზე ამჯერადაც ფეხით გაითელა. ამერიკას გამარჯვება და ამით მოპოვებული პოპულარობა თავისი პოლიტიკური პრინციპების გასამტკიცებლად სჭირდებოდა და, ვინაიდან უფერადკანიანებოდ ეს უაღრესად ძნელი იყო, ოლიმპიური გუნდების შემადგენლობაში ბევრი ზანგი სპორტსმენი ჩარიცხეს. ტყუილად როდი განაცხადა პირველმა ზანგმა ოლიმპიურმა ჩემპიონმა რბენაში ედი ტოლანმა: „მე და მეტკალფი იმიტომ ვართ ლოს-ანჯელესში, რომ ამერიკელ მწვრთნელებს გერმანელ იონატისა ეშინიათ. ეს რომ არა, გუნდში ვერ მოვხვდებოდით".

ლოს-ანჯელესის ოლიმპიადა (1932 წ. 30 ივლისი-14 აგვისტო) ძალიან შოვინისტურ ატმოსფეროში ჩატარდა. მსოფლიო უკვე მოწამლული იყო გერმანული მილიტარიზმის რევანშისტული სულისკვეთებით. ამას სხვებზე მეტად ის ქვეყნები გრძნობდნენ, რომლებსაც უშუალოდ ემუქრებოდა ფაშიზმი. ამიტომაც პოლონელი და ფრანგი სპორტსმენები პროტესტის ნიშნად ბოიკოტს უცხადებდნენ ყოველივე გერმანულს. ხშირად ინციდენტი ხელჩართული ბრძოლით მთავრდებოდა. იტალიელი მოჭიდავე მ. ნიცოლა გასახდელში დანით გამოეკიდა გერმანელ ი. ბრენდელს, რომელიც მსაჯების მხარდაჭერით ოლიმპიური ჩემპიონი გახდა. ბრაზილიელმა წყალბურთელებმა ჩხუბი აუტეხეს გათამამებულ გერმანელებს, მერე კი უმოწყალოდ გაუსწორდნენ უ ნ გ რ უ ლ მსაჯს.

სპორტსმენთა მტრული განწყობილება ტრიბუნებსაც გადაედო, მით უმეტეს, რომ ამერიკელები თანამემამულეთაგან მხოლოდ უმაღლესი ხარისხის მედლებს მოითხოვდნენ. დარბაზში და სტადიონებზე ყოველ წუთს გაისმოდა დიქტორთა აღელვებული მოწოდება: „ბატონებო და ქალბატონებო! ნუ გავიწყდებათ, რომ ესენი ჩვენი სტუმრები არიან. გაუფრთხილდით თქვენს პრესტიჟს და ერის წმინდა სახელს!"

მაგრამ აფორიაქებულ ვნებათა დაცხრომა ასეთი მოწოდებებით ძნელი იყო. მით უმეტეს, რომ მსაჯები ოლიმპიური ჯილდოებისკენ ყოვლად ბინძური ხერხებითა და მაქინაციებით გზას უკაფავდნენ მხოლოდ ამერიკელებს. ასე თვითნებურად ჩამოაცილეს მასპინძლებს პავო ნურმი. ამერიკის მოყვარულ ათლეტთა კავშირის დაჟინებითი მოთხოვნით, ფინელს სამოყვარულო სტატუსის დარღვევისთვის დისკვალიფიკაცია მიეცა ზედ სტარტის წინ. ეს მოულოდნელი განაჩენი ისე ოპერატიულად გაფორმდა, რომ ფინეთის გუნდის ხელმძღვანელობამ ვერც კი მოასწრო ნურმის სხვა მონაწილით შეცვლა.

X ოლიმპიადის სპორტული მნიშვნელობა სავსებით შეესაბამებოდა ეპოქის მზარდ მოთხოვნებს. ლოს-ანჯელესში დაემხო მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების 37 ძველი რეკორდი. რეკორდების ცხრილში 24 შესწორება (15 მსოფლიო რეკორდი) მძლეოსნებმა შეიტანეს, 9 — მოცურავეებმა (3) და 4 — ძალოსნებმა. ოლიმპიადის მთავარ სენსაციად მიიჩნიეს იაპონიის მოცურავეთა გამარჯვება ამერიკელებთან, თუმცა ამას საერთო გუნდურ ჩათვლაზე გავლენა არ მოუხდენია. ამერიკელებს შინ, რა თქმა უნდა, უზრუნველყოფილი ჰქონდათ წარმატება და საკმაოდ იოლადაც მიაღწიეს მიზანს.





ოლიმპიური [illegible] გეოგრაფია წმინდად თავისებურ გავლენას ახდენს ამა თუ იმ ქვეყნის ეკონომიკაზე, განსაკუთრებით, ევროპაში. ტერიტორიული სიშორე და, აქედან გამომდინარე, დიდი სატრანსპორტო ხარჯები მძიმე ტვირთად აწვება პატარა ქვეყნების ბიუჯეტს, რომლებსაც სხვა მხრივ დიდი სურვილი აქვთ თამაშებში მონაწილეობისა. სწორედ ამ მიზეზით ლოს-ანჯელესს გაცილებით ცოტა სტუმარი ეწვია, ვიდრე, ვთქვათ, პარიზს ან ამსტერდამს. უცხოელ სპორტსმენთაგან მზიურ კალიფორნიაში მხოლოდ ისინი გაემგზავრნენ, ვისაც წარმატების რაიმე იმედი ჰქონდა. ამიტომაც გასაგები უნდა იყოს, რატომ აღმოჩნდა ყოველი მეხუთე უცხოელი პრიზიორთა სიაში. ლოს-ანჯელესში დიდი პოპულარობით სარგებლობდნენ ფინელი მატი იარვინენი და პოლონელი იანუშ კუსოჩინსკი, ირლანდიელი პატრიკ ო'კალაჰანი და ჩვენი ნაცნობი ედი ტოლანი.



იარვინენი ჩემპიონი გახდა შუბის ტყორცნაში, ამასთან, მსოფლიო რეკორდი დაამყარა — 72,71 მ. ამ დიდი გამარჯვების უკვდავსაყოფად, ფინეთის მთავრობის წინადადებით, ჰელსინკის სტადიონის შესასვლელთან წამოიჭიმა კოშკი, რომლის სიმაღლეც ზუსტად შეესაბამება იარვინენის რეკორდს. ფინელის ფენომენალურმა შედეგმა საკმაოდ დიდხანს იარსება, მაგრამ 20 წლის შემდეგ მაინც დაემხო. სხვათა შორის, ეს მოხდა 1952 წელს, ჰელსინკის XV ოლიმპიური თამაშების დროს. ახალმა რეკორდმა სირიუს იანგის წყალობით ამერიკის შეერთებულ შტატებში გადაინაცვლა.

ი. კუსოჩინსკიმ მოიგო 10 კილომეტრზე რბენა ოლიმპიური რეკორდით — 30.11,4. კუსოჩინსკი ერთ-ერთი მთავარი ფავორიტი იყო მეორე სტაიერულ დისტანციაზეც, მაგრამ წინადღით დაშავდა და სტარტზე ვეღარ გამოვიდა. იგი განსაკუთრებით პოპულარული გახდა პოლონეთში ჰიტლერული ოკუპაციის დროს. ოლიმპიური ჩემპიონი პარტიზანული მოძრაობის ერთ-ერთი სულისჩამდგმელი იყო და, როგორც ჭეშმარიტმა პატრიოტმა, სამშობლოს გათავისუფლებას სიცოცხლე შესწირა.

პატრიკ ო'კალაჰანზე თანამედროვეები ლეგენდებს ყვებოდნენ. ახოვანმა, ძალიან ღონიერმა სპორტსმენმა პირველი ოლიმპიური ოქრო ამსტერდამში მიიღო. ლოს-ანჯელესშიც მან ყველაზე შორს ტყორცნა ურო, რისთვისაც მეორედ მოიპოვა მთავარი ოლიმპიური ჯილდო. მაგრამ ო'კალაჰანი უნივერსალური სპორტსმენი იყო. თანაბრად ძლიერი უროს ტყორცნასა და სიმაღლეზე ხტომაში, საშუალო მანძილებზე რბენასა და მრავალჭიდში, ასე გასინჯეთ, კრივშიც.

• • •

სურათებზე: ფინელ შუბის მტყორცნელთა ტრიო ოლიმპიურ კვარცხლბეკზე (მარცხნიდან) — მ. სიპალა, მ. იარვინენი და ე. პენტილა; ი. კუსოჩინსკი ოლიმპიური ჯილდოთი; X თამაშებისადმი მიძღვნილი პლაკატი.



მოსკოვი. ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონი. საკუბურაო „კრისტალი". შაიბიანი ჰოკეის უმაღლესი ლიგის საკლუბო გუნდებმა ყინულზე წვრთნა დაიწყეს.

* * *

სურათზე: ვარჯიშობენ „კრილია სოვეტოვის" ჰოკეისტები.

ვ. უნ და-ხინის ფოტო (საკდესი).

# ერთი ოქროს წამი

ზაპი, 5 აგვისტო. ალპების ძირში მდებარე ამ ქალაქის მახლობლად გათამაშდა ველოსიპედისტ ქალთა მსოფლიო ჩემპიონატი ჯგუფურ საგზატკეცილო რბოლაში (ტრასის სიგრძე — 60,572 კმ). გამარჯვებულმა ფრანგმა ჟენევიევა გამბიიონმა პირველობის პრიზიორებს — ხარკოველ ლ. ზადოროჟნაიას და ლენინგრადელ ა. კონკინას მხოლოდ ერთი წამით მიასწრო ფინიშზე. საბჭოთა სპორტსმენებმა ბოლო 150 მეტრზე დათმეს გამარჯვება. 21 წლის მრბოლელმა საფრანგეთს ამგვარ შეჯიბრებებში პირველად მოუტანა ოქროს ჯილდო. მისი შედეგია 1:38.41 (საშუალო სიჩქარე — 38,328 კმ საათში).

ზემოაღნიშნულ სპერტამდე, წრიული ტრასის (წრე — 15,143 კმ) ოთხი ხვეულიდან პირველზე, მეშვიდე კილომეტრიდან მოყოლებული, ეს სამეული მსოფლიოს ექს-ჩემპიონებთან ოდრი მაკედმერისთან (აშშ) და ბერილ ბერტონთან (ინგლისი) ერთად დამაჯერებლად ლიდერობდა რბოლას — მეტოქეებს დროდადრო 3-4 წუთით უსწრებდა. ფინიშამდე ცოტა იყო დარჩენილი, როცა გამბიიონმა მარცხნიდან აუარა გვერდი პარტნიორებს და მძლავრი საფინიშო ბიძგით ჩემპიონის წოდება მოიხვეჭა.

დანარჩენი საბჭოთა მრბოლელების შედეგები ასეთია: სოჭელი ნ. იუქაკოვა — VIII ადგილი (1:41.42), მოსკოვის ოლქის წარმომადგენელი ნ. ტროფიმოვა — X, ირკუტსკელი ტ. ვორონოვა — XIII, რიგელი ბ. ცაუნე — XIV (ყველას ერთნაირი დრო აქვს — 1:43.08).

ამრიგად, საბჭოთა ველოსიპედისტმა ქალებმა მარსელსა და გაპში ორი ოქროს, ერთი ვერცხლისა და ორი ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. მსოფლიო ჩემპიონები გახდნენ მოსკოველი გ. ერმოლაევა (სპრინტი) და ტულელი თ. გარკუშინა (გამოდევნებით რბოლა), პირველობის პრიზიორები — ზადოროჟნაია, რომელმაც II ადგილი დაიკავა საგზატკეცილო რბოლაში და III — გამოდევნებით რბოლაში. ბრინჯაოს პრიზიორია კონკინა.

* * *

მარსელის ტრეკზე სალიდერო რბოლაში მსოფლიო ჩემპიონი გახდა ჰ. გნასი (გფრ), რომელმაც 50 კმ 41 წუთსა და 10,61 წამში დაფარა (საშუალო სიჩქარე — 72,8 კმ საათში). II ადგილზეა ასევე გფრ-ის წარმომადგენელი დრაიერი, ხოლო III — ჰოლანდიელი მინებოო. საბჭოთა წყვილი — მრბოლელი მ. მარკოვი და ლიდერი მ. ზაიცევი (ორივე — მოსკოვი) ასპარეზობას მეოთხედფინალურ სერიებში გამოეთიშნენ.

# ჩიკაგო

ჩიკაგო, 5 აგვისტო. ადგილობრივ 50-მეტრიან ღია აუზში გრძელდება აშშ-ს მოცურავეთა წინაოლიმპიური შესარჩევი შეჯიბრება. 200 მეტრზე ბრასის სტილით ცურვაში ჯონ ჰენკენმა მსოფლიო რეკორდი დაამყარა — 2.22,8. ეს შედეგი 0,7 წამით უკეთესია უწინდელ მიღწევაზე, რომელიც ჰენკენის თანამემამულე ბრაიან ჯობს ეკუთვნოდა.

რეკორდი წინასწარ გაცურვაში დამყარდა.

ჩიკაგო, 6 აგვისტო. ამერიკის მოცურავეთა აქ დამთავრებულმა წინაოლიმპიურმა შეჯიბრებამ გამოავლინა აშშ-ს გუნდი, რომელიც მალე გაემგზავრება მიუნხენს. შედეგები ერთობ მაღალია. „ფარდის დაშვების" წინ კვლავ გამოიჩინა თავი 22 წლის კალიფორნიელმა სტუდენტმა მარკ სპიტცმა, რომელმაც საკუთარი მსოფლიო რეკორდი დაამხო 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში. სპიტცის შედეგია 51,47 წამი.

15 წლის ვაშინგტონელმა მოსწავლემ მელისა ბელოტმა 200 მეტრზე ზურგალმა ცურვაში მსოფლიოს ექს-რეკორდსმენს სიუზი ეთვუდს აჯობა. გამარჯვებულმა ზემოაღნიშნული მანძილი 2 წუთსა და 20,64 წამში გაცურა.

ამერიკელი სპორტსმენების ასეთი შესანიშნავი შედეგების მიუხედავად, ავსტრალიელი მოცურავეების მწვრთნელმა დ. ტალბოტმა დასავლეთ გერმანიაში გამგზავრების წინ განაცხადა, რომ ავსტრალიელთა გუნდიც ბევრი მედლის მოხვეჭას იმედოვნებს ოლიმპიურ თამაშებში. ტალბოტს მიაჩნია, რომ მისი აღსაზრდელები სწორედ მიუნხენის სტარტების დროს იქნებიან საუკეთესო ფორმაში, ამერიკელებმა კი ახლა მიაღწიეს ზენიტს.

ამერიკის შეერთებული შტატების მოცურავეთა შეჯიბრების გმირად უეჭველად უნდა ჩაითვალოს სპიტცი, რომელმაც ოთხ დღეში მსოფლიოს ხუთი რეკორდი დაამყარა. მაგრამ უნდა ითქვას, რომ ამათგან მხოლოდ სამი დამტკიცდება, ვინაიდან ორი წინასწარ გაცურვებში იშვა და მოგვიანებით თვითონ სპიტცმა გააუმჯობესა.

ჩიკაგო, 7 აგვისტო. ამერიკის შეერთებული შტატების მოცურავეთა ოლიმპიურ გუნდში 28 ქალი და 24 ვაჟი იქნება. მათი შემადგენლობა საბოლოოდ კვირა საღამოს დაზუსტდა ჩიკაგოში შესარჩევი შეჯიბრების დამთავრების შემდეგ. ბოლო ფინალურ გაცურვებში მსოფლიოს კიდევ სამი რეკორდი დამყარდა:

ვაშინგტონელმა ჯ. ხამბაჯერმა ავსტრალიელ შ. გოულდს თავისუფალი სტილით ცურვაში მეორე მიღწევა „წაართვა", როცა 800 მ 8 წუთსა და 53,8 წამში გაცურა. ეს 4,3 წამით სჯობს უწინდელ რეკორდს (მანამდე ამერიკელმა შ. ბაბაშოფმა 200 მეტრზე „გაუსწრო" გოულდის რეკორდს, რომელსაც თავისუფალი სტილით ცურვაში ყველა დისტანციაზე ეკუთვნოდა მსოფლიო რეკორდები);

კალიფორნიელმა კ. მოუმ თანამემამულე ე. დანიელის მსოფლიო რეკორდი გააუმჯობესა 200 მეტრზე ბატერფლაით ცურვაში — 2.16,62 (ძველი მიღწევა 2.18.4 იყო);

16 წლის კალიფორნიელმა რ. დემონტმა 1500 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში 15.52,91 აჩვენა, რაც 4 წამზე მეტით სჯობს ჯ. კინსელის (აშშ) — 1968 წლის ოლიმპიური თამაშების ვერცხლის პრიზიორის მსოფლიო რეკორდს. კინსელი ამჯერად მეექვსე იყო.

გ. ჰოლმა, რომელმაც 4 აგვისტოს მსოფლიო რეკორდი დაამყარა 400 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში, 200 მეტრზე შვედი გ. ლარსონის უმაღლესი მსოფლიო მიღწევა გაიმეორა — 2.09,3.

ხუთ დღეში ამერიკელმა მოცურავეებმა 11 მსოფლიო რეკორდი დაამყარეს.

# ჭადრაკი

# ჭადრაკის ოლიმპიადა

# ბრძოლის თასი კვლავ მოსკოვშია

როგორც ვიუწყებოდით, გრაცში (ავსტრია) სტუდენტ მოჭადრაკეთა XV ოლიმპიადაში ანუ მსოფლიოს გუნდურ ჩემპიონატში საბჭოთა სტუდენტებმა გაიმარჯვეს. ოლიმპიური ჩემპიონის ბრძოლის თასი მათ კვლავ მოსკოვში წამოიღეს. გთავაზობთ საბჭოთა მოჭადრაკეების შედეგებს, რომლებიც არ გამოგვიქვეყნებია.

V ტურში დანიის გუნდთან შეხვედრაში საბჭოთა სტუდენტები ლიდერობდნენ — 2:0. გადადებული პარტიების დამთავრებისას მათ კიდევ 1,5 ქულა მოაგროვეს: ი. ბალაშოვმა მოუგო ფედერს, ხოლო მ. პოდგაეცი ყაიმზე შეუთანხმდა ჰანსენს.

VI ტურში საბჭოთა ნაკრები გფრ-ის გუნდს შეხვდა. ა. კარპოვმა სძლია ჰიუბნერს, ვ. ტუკმაკოვმა — ვაიჰერცს, რ. ვაგანიანმა — იუნკეს. ყაიმით დამთავრდა ბალაშოვ — ნემერტის შეხვედრა. საბოლოოდ — 3,5:0,5.

VII ტურში სსრ კავშირ — აშშ-ს მოჭადრაკეთა მატჩი ყაიმით დამთავრდა — 2:2. პოდგაეცმა მოუგო კაუფმანს, ტუკმაკოვი დამარცხდა როგოფთან. ყაიმით დასრულდა ვაგანიან — დე-ფოტისისა და ი. ანიკაევ — ტარიანსის შეხვედრები.

VIII ტურში საბჭოთა მოჭადრაკეებმა დიდი აღმავლობით ითამაშეს ინგლისის გუნდთან და გაიმარჯვეს — 3,5:0,5. კარპოვმა მოუგო მარკლენდს, ტუკმაკოვმა — სტინს, პოდგაეცმა — პარკინს. ბალაშოვი ყაიმზე შეუთანხმდა ილსს.

საბჭოთა სტუდენტებმა დასკვნითს, IX ტურშიც გაიმარჯვეს, ამჯერად ბულგარელებთან — 3,5:0,5. მოიგეს ბალაშოვმა, ვაგანიანმა, ანიკაევმა. პოდგაეცმა ყაიმით დაამთავრა შეხვედრა.

ამრიგად, საბჭოთა მოჭადრაკეებმა 36 შეხვედრაში 28,5 ქულა მოაგროვეს, I ადგილი დაიკავეს და კვლავ მსოფლიოს ჩემპიონები გახდნენ.

II-III ადგილები გაიყვეს უნგრეთისა და გფრ-ის გუნდებმა — 19,5-19,5 ქულა. ვერცხლის მედლები უნგრელებს გადაეცათ, ვინაიდან მეტი შეხვედრა ჰქონდათ მოგებული.

ნახევარფინალისა და ფინალის 14 შეხვედრაში სსრ კავშირის გუნდმა 12 მოიგო და 2 ყაიმით დაასრულა. 56 ნათამაშევ პარტიაში საბჭოთა მოჭადრაკეებმა 37 მოიგეს, 17 ყაიმით დაამთავრეს და მხოლოდ 2 წააგეს.

I დაფაზე საუკეთესო შედეგისათვის — 7 ქულა 9-დან — ოქროს მედალი კარპოვმა მიიღო. II დაფაზე II ადგილი ხვდა ბალაშოვს — 7 ქულა 10-დან.

III დაფაზე I ადგილი დაიკავა ტუკმაკოვმა — 8 ქულა 10-დან. საინტერესოა, რომ ეს იყო ტუკმაკოვის ბოლო ოლიმპიადა. წინა 6 ოლიმპიადაში მან 8 ოქროს მედალი დაიმსახურა და ახლაც ორი ოქრო (გუნდურ და თავის დაფაზე გამარჯვებით) დაუმატა.

IV დაფაზე I ადგილისთვის ოქროს მედალი მიიღო ვაგანიანმა — 9 ქულა 10-დან.

სათადარიგოთა შორის I დაფაზე ყველას აჯობა პოდგაეცმა — 7 ქულა 9-დან. II დაფაზე ოქროს მედალი ხვდა ანიკაევს — 7,5 ქულა 8-დან.

# სპორტული ქრონიკა

## სსრ კავშირის პირველობა

## I ლიგა

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 8 აგვისტოსთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ფახთაქორი" | 22 | 15 | 5 | 2 | 38—15 | 35 |
| „ჩერნომორ." | 22 | 12 | 7 | 3 | 41—18 | 31 |
| „ზვეზდა" | 22 | 10 | 7 | 5 | 26—21 | 27 |
| „შახტ." (დ.) | 21 | 8 | 10 | 3 | 27—12 | 26 |
| „ტორპედო" | 22 | 11 | 4 | 7 | 30—17 | 26 |
| „შინიკი" | 21 | 11 | 4 | 6 | 23—17 | 26 |
| „პამირი" | 22 | 9 | 7 | 6 | 29—23 | 25 |
| „ალგა" | 22 | 7 | 9 | 6 | 24—16 | 23 |
| „სპარტაკი" | 22 | 8 | 7 | 7 | 25—26 | 23 |
| „მეტალის". | 21 | 6 | 9 | 6 | 21—20 | 21 |
| „შახტ." (ყ.) | 22 | 6 | 9 | 7 | 21—24 | 21 |
| „კრ. სოვეტ." | 22 | 4 | 13 | 5 | 19—23 | 21 |
| „სტროიტ." | 22 | 6 | 7 | 9 | 22—36 | 19 |
| „მეტალურ." | 22 | 6 | 6 | 10 | 28—28 | 18 |
| „ნისტრუ" | 22 | 6 | 6 | 10 | 22—26 | 18 |
| „ავტომობ." | 21 | 4 | 9 | 8 | 15—24 | 17 |
| „კრივბასი" | 22 | 4 | 8 | 10 | 28—41 | 16 |
| „დინამო" | 21 | 3 | 9 | 9 | 14—25 | 15 |
| „ტექსტილ." | 21 | 4 | 7 | 10 | 17—32 | 15 |
| „ურალმაში" | 22 | 2 | 7 | 13 | 18—39 | 11 |

## მეკარე ხატავს ავტოპორტრეტს

უნგრეთის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა რ. ილოვსკიმ თავის გუნდში ახალი წევრი შეიყვანა. ესაა 27 წლის მეკარე ბიჩკეი. იგი ჩინებული ოსტატია და გუნდს არსებითი დახმარება უნდა გაუწიოს, მით უმეტეს, რომ გეცი და როტერმელი არც ისე საიმედოდ თამაშობენ. საინტერესოა, რომ ნაკრების ახალი მეკარე საკმაოდ ცნობილი მხატვარიცაა. ამას წინათ მან დაამთავრა ავტოპორტრეტი, რომელსაც ეწოდა „მეკარე თავისას ამტკიცებს". სურათი სპეციალისტებს ძალიან მოეწონათ.

## მოზამბიკელთა სამეული

1971-72 წლების საფეხბურთო სეზონის დამთავრების შემდეგ პორტუგალიელმა ჟურნალისტებმა დაასახელეს ქვეყნის № 1 ფეხბურთელი. უწინ არაერთგზის აურჩევიათ ეუსებიო, რომელიც ამჟამადაც კარგ ფორმაშია, მაგრამ ახლა საუკეთესო ფეხბურთელად სხვა დაასახელეს.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ამ ოსტატს — ნენეს, ეუსებიოსთან ბევრი რამ აქვს საერთო: ისიც მოზამბიკელი ზანგია, „ბენფიკაში" თამაშობს, თავდამსხმელია. ნენე 23 წლისაა, „ბენფიკაში" 1967 წლიდან გამოდის. ახლა ეუსებიო, ნენე და კიდევ ერთი ახალგაზრდა მოზამბიკელი ჟორდაო პორტუგალიის ნაკრების თავდასხმის მრისხანე სამეულს შეადგენენ.

# ორი მატჩი — ორი ფრე

მოსკოვი, 5 აგვისტო. „დინამოს" სტადიონზე ამხანაგურ საერთაშორისო მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ სსრ კავშირისა და შვეციის ახალგაზრდული ნაკრები გუნდები. მატჩი დამთავრდა ფრედ — 2:2. მასპინძელთაგან ბურთები გაიტანეს ტელინგერმა და ჟუკოვმა, სტუმართაგან — ბენტმა და ლენარდსონმა.

საბჭოთა გუნდის შემადგენლობაში თამაშობდნენ: სობეცკი (ოლეინიკი), ყულიევი, პოტოჩნიაკი (გოლუშჩევი), ზვიაგინცევი, ალექსანდროვი, ჟუკოვი, ხისამუტდინოვი (დამინი), იაკუბიკი, ტელინგერი, ზინჩენკო (ანდრეევი), რედინი.

* * *

სტოკჰოლმი, 6 აგვისტო. „როსუნდას" სტადიონზე ფრედ დამთავრდა შვეციისა და სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდების შეხვედრა — 4:4.

პირველი ტაიმის შემდეგ წინ იყო საბჭოთა გუნდი — 3:1. გოლები გაიტანეს ელისეევმა, ანდრიასიანმა, სემიონოვმა, ხოლო მასპინძელთა მხრივ — ედსტრიომმა.

შესვენების შემდეგ გამეორდა იგივე ანგარიში 3:1, ოღონდ შვეციის ნაკრების სასარგებლოდ. საბჭოთა ფეხბურთელთაგან ბურთი გაიტანა ბლოხინმა, მასპინძელთაგან — პოლსონმა და ედსტრიომმა (2). საინტერესოა აღინიშნოს, რომ ედსტრიომმა სამივე ბურთი თავით გაიტანა.

საბჭოთა ნაკრები ასეთი შემადგენლობით თამაშობდა: რუდაკოვი (ბანიკოვი), ძოძუაშვილი, ოლშანსკი, ლოვჩევი, კაპლიჩნი, ანდრიასიანი, ესკოვი (დოლმატოვი), სემიონოვი, ელისეევი, კუქსოვი, ონიშჩენკო (ბლოხინი).

საბჭოთა ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა ა. პონომარიოვმა აღნიშნა ედსტრიომის კარგი თამაში და ამასთან დაკავშირებით მიუთითა საბჭოთა მცველების სისუსტეზე, რომლებმაც საჯარიმო მოედანზე ვერ შეძლეს მაღალი ბურთებისთვის ეფექტური ბრძოლა. მისი აზრით, ვერც საბჭოთა მეკარეებმა ითამაშეს საიმედოდ. მაგალითად, ბანიკოვმა სამი ბურთი გაუშვა.

შვედ სპორტულ მიმომხილველებს მიაჩნიათ, რომ საბჭოთა ფეხბურთელებმა კოლექტიური თამაშის კარგი მაგალითი გვაჩვენეს. შვედების მწვრთნელმა ერიქსონმა გაზეთ „სვენსკა დაგბლადეტის" თანამშრომელს უთხრა: „ჩვენმა სტუმრებმა სანახაობრივი თვალსაზრისით საინტერესოდ, ტექნიკურად და სწრაფად ითამაშეს".

## 19 45

◆ მესინა (კუნძული სიცილია), 7 აგვისტო. სსრ კავშირის კალათბურთელთა ნაკრებმა ყველას აჯობა აქ გამართულ „ოთხთა ტურნირში" — გადამწყვეტ მატჩში ანგარიშით 77:58 (34:29) სძლია იტალიის ეროვნულ გუნდს. III ადგილზეა ჩეხოსლოვაკიის ნაკრები, რომელმაც მწვავე ბრძოლაში დაამარცხა ფილადელფიის სენ-ჯოზეფის კოლეჯის გუნდი — 66:65 (34:34). ამერიკელები ბოლო, IV ადგილზე დარჩნენ.

რედაქტორი მ. ქაქაბაძე.

საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტი, ფეხბურთის რესპუბლიკური ფედერაცია და „ლელოს" რედაქცია იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ყოფილი ფეხბურთელი

ზურაბ დავითის ძე ცომაია

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. № 14. უე 04564